

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების აღწერილობა	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	თანხა
1	ინტელექტუალური თამაშების ჩატარება; პროექტი "ინტელექტის დღე" ხელვაჩაურის გუნდის მონაწილეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებასთან არსებულ ინტელექტ კლუბში წლის მანძილზე ინტელექტუალური თამაშების ჩატარდება. გარდა ამისა, "ინტელექტის დღე" ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, დაფინანსებული იქნება მუნიციპალური გუნდის ქ. თბილისში მივლინების ხარჯები;	თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი	ხელვაჩაური; თბილისი	3500,0
2	ახალგაზრდებში წიგნიერების ღონისძიება და განვითარება	კითხვის კლუბში ჩატარდება წინასწარ შერჩეული წიგნების განხილვები, რომელსაც ჩატარებენ მოწვეული სპეციალისტები, უზრუნველყოფილი იქნება მათი ჰონორარები. გარდა ამისა, კითხვის კლუბის წევრებისათვის მოეწყობა ლიტერატურული მართონი, გამარჯვებულებს გადაეცემათ საჩუქრები; დაიგეგმება სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები. გარდა აღნიშნულისა დაიგეგმება მედიაწიგნიერების პროგრამაც.	მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი	ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი	4000,0
3	ეროვნული მნიშვნელობის თარიღებთან დაკავშირებული ახალგაზრდული ღონისძიებები	ღონისძიებები მიზნად ისახავს ახალგაზრდების მიერ 9 აპრილის მოვლენებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გააზრებას, დაიგეგმება ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდები, აქტივობებს ექნება შემეცნებითი, კულტურული და საგანმანათლებლო ხასიათი;	აპრილი, მაისი	ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი	1000,0
4	პიროვნული განვითარების ტრენინგები	მოწვეული იქნებიან სპეციალისტები და ჩატარდება ტრენინგები "პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებასთან, სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებასთან დაკავშირებული ტრენინგები, საჯარო ლექციები, სესიები, შემეცნებითი ღონისძიებები და აქტივობები;	აპრილი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2000,0
5	ახალგაზრდების მონაწილეობით სპექტაკლის დადგმა	თეატრალური ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით დაიდგმება სპექტაკლი;	მაისი - ივნისი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5500,0
6	გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	მოეწყობა გარემოს დაცვის საკითხთან დაკავშირებული ღონისძიება და აქტივობა, რომლის მიზანიც იქნება მოუწოდოს ახალგაზრდებს შეიმეცნონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების სასიცოცხლო მნიშვნელობა, ამავდროულად იზრუნონ გარემოს დაცვაზე;	ივნისი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	800,0
7	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყობა 2018 წლის აღნიშნული დღესთან დაკავშირებით მთავარი მესიჯის შესახებ აქტივობების დაგეგმვა, აგრეთვე მოეწყობა საზეიმო, გასართობი ღონისძიებები;	აგვისტო	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2000,0
8	ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება და განხორციელება	ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება	წლის განმავლობაში	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5500,0
9	კინოჩვენებების მოწყობა და განხილვა	წლის მანძილზე მოეწყობა კინოჩვენებები და კინო განხილვები, რომელსაც გაუძღვებიან მოწვეული კინომცოდნეები. პროექტის ბოლოს, კინომოყვარულ ახალგაზრდებს წახალისების მიზნით, საჩუქრად გადაეცემათ კინოთეატრში ფილმზე დასასწრები ბილეთები	წლის განმავლობაში	ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი	1000,0
10	აქტიური ახალგაზრდებისათვის წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება	ექსკურსიები, შემეცნებითი, კულტურული და გასართობი ადგილების მონახულება	წლის განმავლობაში	მარშუტის მიხედვით	6000,0
11	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან	ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების საქმიანობის გაგნობისა და ახალგაზრდების გააქტიურებისა და მეტი ჩართულობის მიზნით, მოეწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში გასვლა და ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრები	ნოემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	400,0
12	კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი	ახალგაზრდების დასაქმებისთვის მომზადების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი	ნოემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1800,0

13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიასთან დაკავშირებული აქტივობები	ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ადვოკატების, მათი უფლებების დაცვისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, გარდა ამისა, თანხა მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირებისათვის, რათა ჩაერთონ ახალგაზრდობის ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში	21 მარტი დეკემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2500,0
14	"ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი" ბუკლეტის, სამაჯურების, ბლოკნოტებისა და საწერკალმების დამზადება	დამზადდება ახალგაზრდობის ცენტრის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი ბუკლეტები, რომელსაც თავისთავად ანგარიშის სახეც ექნება, აგრეთვე, ცენტრის პოპულარიზაციისათვის დამზადდება ახალგაზრდობის ცენტრის ლოგოს გამოსახულებით საწერკალმები, ბლოკნოტები და სამაჯურები, რომლებიც ძალიან მოთხოვნადია ახალგაზრდების მხრიდან	დეკემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1800,0
15	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების (ახალგაზრდობის ცენტრის) დაარსებიდან 6 წლის შესრულების ანგარიშის წარდგენა	მოეწყობა საანგარიშო შეხვედრა ახალგაზრდობის ცენტრის 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, გადაღებული იქნება აგრეთვე ვიდეო კლიპი, რომელშიც ასახული იქნება გაწეული მუშაობა.	დეკემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1400,0
16	გაუთვალისწინებელი ახალგაზრდული ღონისძიებები	წლის მანძილზე, ხორციელდება ისეთი პროექტებიც რომელიც იგეგმება გარე ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ გამიზნულია ადგილობრივი ახალგაზრდების გააქტიურებაზე, რისთვისაც ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფისთვის მომართავენ მუნიციპალიტეტს. გარდა ამისა, ბაზარზე ფასების ზრდის გამო შესაძლებელია დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს თანხები, რისთვისაც გამოყენებული იქნება გაუთვალისწინებელი თანხების რესურსი.	წლის განმავლობაში	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	800,0
სულ ჯამი:					40 000,0